პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 აგვისტო, შაბათი, 1987 წ.
№ 148 (9559 ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

**30 ივლისს** გამართულმა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებულმა პლენუმმა განიხილა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლის გაძლიერების ამოცანები.

სახელოვანი იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის მუშაობის, გარდაქმნისა და დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის კურსის რეალიზაციაში პრესის აქტიურობის ზრდის გზების შესახებ ანგარიშები გააკეთეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების თავმჯდომარემ, გაზეთ „სოვეთონ ირისთონის“ რედაქტორმა პ. თედეევმა, გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ რედაქტორმა თ. ჯიბლაშვილმა.

როგორც ანგარიშებში, ისე პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში საგნობრივი, მომთხოვნელი სჯა-ბაასი იყო იმის შესახებ, ჯერ კიდევ თუ რა ბევრი რამ უნდა გააკეთონ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, რათა ამრავლონ წვლილი პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უაღრესად საჭიროა ყველგან სრულყონ პრესის, ტელევიზიის, რადიოს მუშაობის სტილი და მეთოდები, იყვნენ გარდაქმნის, იმ რევოლუციური ცვლილებების ავანგარდში, რომლებიც დღეს ცხოვრების ყველა სფეროში ხდება.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა ა. იოსელიანი გაათავისუფლა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია გ. ფოფხაძე — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივნად არჩეულია ა. გოგელია, თბილისის ჟურნალისტთა ორგანიზაციის ბიუროს თავმჯდომარე, გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი.

პლენუმმა გ. სამსონაძე გაათავისუფლა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ორგანიზაციულ საკითხთა მდივნის მოვალეობისაგან პირადი განცხადების თანახმად. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ორგანიზაციულ საკითხთა მდივნად არჩეულია კ. გომართელი. (საქინფორმი).

## ექვენება ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს

# სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

„ლელოს“ კორესპონდენტები **როდიონ ქორქია, ოთარ ნოზაძე, ლევან ქავჟარაძე, ვაჟა დანელია, დავით ჭელიძე, ალექსი პაპოშვილი** შეჯიბრების ადგილებიდან გვატყობინებენ: **(ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები).**

## დადგა გადამწყვეტი ეტაპი

### საქართველოს ჭაბუკები ფინალურ ჯგუფში

**საფეხბურთო** ტურნირზე დამთავრდა წინასწარი შეჯიბრებები „ა“ და „ბ“ ჯგუფებში.

30 ივლისს საქართველოს ნაკრების მეტოქე იყო პროფკავშირების ნაკრები. ჩვენს გუნდს გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასასვლელად ფრეც ხელს აძლევდა, ვინაიდან საამისო ქულების ნორმა მთლიანად უგროვდებოდა, მაგრამ კოლექტივმა სწორად აუღო ალღო შექმნილ კონიუნქტურას და მოგებაზე ითამაშა. მართალია, შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა, მეორე ტაიმში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: ჯერ ნასყაშვილმა კარგად გამოიყენა ორიგინალურად გათამაშებული საჯარიმო დარტყმა, შემდეგ ხოსროშვილმა ანგარიში 2:0-მდე აიყვანა, 55-ე წუთზე კი ნემსაძემ მესამე ბურთი გაიტანა, პროფკავშირების ნაკრებმა მხოლოდ ის შეძლო, რომ ერთი გოლი გაქვითა მე-60 წუთზე. გაიმარჯვეს საქართველოს ფეხბურთელებმა — 3:1.

ამავე დღეს უკრაინის განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ...

იხ. გვ.2 გვ.



თამაშობენ საქართველოსა და პროფკავშირების პირველი ნაკრები გუნდები.

მაგრამ ფინალურ სასტვენამდე 15 წამით (!) ადრე იმავე შენგელიამ ზუსტი ტყორცნით იხსნა ქულა — 15:15.

არც „უროჟაისთან“ მატჩი გამოდგა იოლი ჩვენი ხელბურთელებისათვის, დებიუტი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა — 1:0, 3:2, 6:4. მეათე წუთზე ანგარიში იყო — 6:6, შემდეგ — 9:9, 13:13. შესვენების წინ „უროჟაის“ გუნდმა შეძლო თავის სასარგებლოდ დაემთავრებინა ტაიმი — 14:13. მეორე ტაიმში, რომ იტყვიან, „ქულა ქულაში მიდიოდა“ — 20:20, 22:21, 25:24... თამაშის ბოლო წუთებში მოედნის სრული ბატონ-პატრონნი უკვე ქართველი ხელბურთელები იყვნენ, რომლებმაც დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს —30:26.

ამ დღეს კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა: სამხრეთი ზონა — პროფკავშირები-I — 13:35 (5:16); უკრაინა (განათლების სამინისტრო) — დასავლეთი ზონა — 21:22 (12:9).

**გუშინ** „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში საქართველოს ჭაბუკებმა მესამე შეხვედრა გამართეს პროფკავშირების პირველ გუნდთან. მატჩი დამთავრდა ფრედ — 22:22 (11:12).

დანარჩენი მატჩების შედეგები: პროფკავშირები-II — უკრაინა (განათლების სამინისტრო) — 20:29 (9:14), „უროჟაი“ — რსფსრ-ის განათლების სამინისტრო 19:24 (11:13), დასავლეთი ზონა — საბჭოთა არმია — 22:25 (13:14).

**გოგონები. I ტური** — „უროჟაი“ — სამხრეთი ზონა — 22:16 (7:7), საქართველო — პროფკავშირები-II — 17:20 (9:9), პროფკავშირები-I — რსფსრ-ის განათლების სამინისტრო — 23:15 (13:4), უკრაინის განათლების სამინისტრო — დასავლეთი ზონა — 22:11 (10:6): **II ტური:** დასავლეთი ზონა — პროფკავშირები-II — 16:17 (9:9), უკრაინის განათლების სამინისტრო — საქართველო — 29:10 (12:4), „უროჟაი“ — პროფკავშირები-I— 18:22 (11:10), სამხრეთი ზონა — რსფსრ-ის განათლების სამინისტრო — 20:29 (10:17). **III ტური:** „უროჟაი“ — რსფსრ-ის განათლების სამინისტრო 17:25 (6:12). უკრაინის



განათლების სამინისტრო—პროფკავშირები-II — 26:17 (14:8), პროფკავშირები I — სამხრეთის ზონა — 23:18 (10:7) საქართველო — დასავლეთის ზონა — 12:27 (6:7).

## ბრძოლა ქულების მოსაპოვებლად

**ბათუმში** მიმდინარეობს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება. პირველ დღეს სპორტსმენები ასპარეზობდნენ სახტუნელათი და უსაგნოდ. ჩვენი რესპუბლიკის გუნდიდან სხვებზე უკეთ რუსთაველი ოლგა ულერშპირგელი გამოვიდა. მან ორივე სახეობაში 9-9 ქულა დაიმსახურა და ოდესელ ნატალია ჩერნოვასთან ერთად 18 ქულით IV-V ადგილებს იყოფდა. ლიდერობა კი ხელთ იგდო ვილნიუსელმა კრისტინა კლიუკევიჩუტემ (დასავლეთი ზონა) — 18,4.

შეჯიბრების მეორე დღე დაეთმო რგოლითა და ბურთით ვარჯიშს. საქართველოს გუნდს წინადღეს მეხუთე შედეგი ქონდა და მეოთხე ადგილზე მყოფ დინამოელებს... 75 მეასედი ქულით ჩამორჩებოდა. ამიტომ ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა. ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა არა მარტო შეინარჩუნეს ადრინდელი შედეგი, არამედ გააუმჯობესეს კიდეც. მართალია, ისინი კვლავ მეხუთე ადგილზე იმყოფებიან, მაგრამ ახლა წინწასულს მხოლოდ 15 მეასედი ქულით ჩამორჩებიან.

პირველი სამეული ასე გამოიყურება: პროფკავშირები-I —179,05, რსფსრ-ის განათლების სამინისტრო — 178,5, დასავლეთი ზონა — 176,0. ჩვენს გუნდს 175,1 აქვს.

პირად შეჯიბრებაში კვლავ წინ არის კლიუკევიჩუტე — 36,85. მეორე ადგილზეა ჩერნოვა—36,15, მესამეზე — რიაზანელი ნატალია მიტიუშოვა — 36,1.

ჩვენი გუნდიდან პირველ ათეულშია მხოლოდ ულერშპირგელი, მას მეექვსე შედეგი აქვს — 35,8. ამასთან რუსთაველმა სპორტსმენმა უკვე მოიპოვა უფლება ოთხი სახეობიდან ფინალში სამში იასპარეზოს. მასპინძელთა გუნდის დანარჩენმა წევრებმა ასეთი შედეგები აჩვენეს: ელადა კოზლოვამ — 35, 15; ეკა ცხადაძემ — 34,8; ბელა ჟილიაევამ — 34,3, ზოია მერიცილმ — 34,25, ლანა სიდანოვამ — 34,2.

## ოფიციალური შეფასება

**ვ. გრომიკო** — სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე, თამაშების მთავარი მსაჯი.

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები გრანდიოზული ასპარეზობაა და მისი ორგანიზაცია ძალიან რთული საქმეა, მით უმეტეს, რომ პირველად ტარდება. ვიცოდით, თქვენთან ყველაფერი კარგად და მაღალ დონეზე იყო, მაგრამ რაც პირადად ვნახე, მაინც სულ სხვა შთაბეჭდილება დატოვა. მადლობა მთელ რესპუბლიკას, მის ხელმძღვანელობას, რომ თამაშებს ბრწყინვალედ მასპინძლობთ. ყველგან, თქვენ დედაქალაქში თუ რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში, შეჯიბრებები შესანიშნავად ტარდება, ნორჩებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი აჩვენონ მაღალი სპორტული შედეგები, დაუმეგობრდნენ ერთმანეთს.

## მასპინძელთა სამი მატჩი

**საქართველოს** ჭაბუკები შეჯიბრებაში მეორე ტურიდან ჩაებნენ. მწვრთნელები — სპორტის ოსტატი ალექსანდრე ხუციშვილი და მერაბ მეტრეველი მღელვარებას ვერ ფარავდნენ. სტუმართა რვავე გუნდი ძლიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, ხოლო რსფსრ-ის გუნდი ფავორიტად ითვლება. სწორედ მას შეხვდნენ ჩვენი ჭაბუკები სასტარტო მატჩში.

სტუმრებმა პირველსავე წუთზე გახსნეს ანგარიში, მაგრამ მამუკა შენგელიამ 7-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნით უმალვე აღადგინა წონასწორობა. შემდეგ წინ 2-3 ბურთით ძირითადად მეტოქე იყო. მან ტაიმიც ორბურთიანი სხვაობით მოიგო — 7:5. მეორე ნახევრის შუალედში ჩვენი გუნდის კაპიტანმა ოლეგ გალუევმა გაათანაბრა ანგარიში — 9:9. ამის შემდეგ მეტოქემ კვლავ შეძლო წინ გასვლა,

## ელა-ინფორმაცია

**გუშინ** საღამოს სამტრედიაში დასრულდა მოჭადრაკეთა ასპარეზობა. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა ყაიმით — 3:3 დაამთავრა შეხვედრა პროფკავშირების მეორე გუნდთან და 11,5 ქულით V ადგილი დაიკავა.

## ჩემპიონები და პრიზიორები (სამბო)



ზვიად მამუკელაშვილი (I ადგილი)



დანიელ აკოფიანი (I)



მამუკა კურდღელაშვილი (II)



დავით ბედიანაშვილი (II)



მერაბ ტოტიკაშვილი (III)



ალექსანდრე თანდილაშვილი (III)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

## დადგა გადამწყვეტი ეტაპი

დასასრული

სავლეთი ზონის გუნდების მეტად საინტერესო მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1, საბჭოთა არმიის ნაკრებმა კი ანგარიშით 3:1 დაამარცხა „შრომითი რეზერვების" გუნდი.

ჯგუფური გათამაშების ბოლო დღეს რუსთავში „უროჟაიმ" მოუგო პროფკავშირების მეორე ნაკრებს — 1:0, განათლების სამინისტროს სამხრეთი ზონის ნაკრებმა კი ანგარიშით 2:0 დაამარცხა რსფსრ-ის განათლების სამინისტროს კოლექტივი.

ამრიგად, გადამწყვეტ შეხვედრათა წინ ჯგუფებში ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა:

„ა" ჯგუფი

| | |
|---|---|
| საქართველო — | 8 ქულა |
| უკრაინის გან. სამინ. — | 8 |
| პროფკავშირები-I — | 6 |
| დასავლეთი ზონა — | 4 |
| საბჭოთა არმია — | 4 |
| „შრომითი რეზერვები" — | 0 |

„ბ" ჯგუფი

| | |
|---|---|
| რსფსრ — | 6 |
| სამხრეთი ზონა — | 5 |
| „დინამო" — | 4 |
| პროფკავშირები-II — | 3 |
| „უროჟაი" — | 2 |

თამაშების საფეხბურთო ტურნირის მეხუთე ადგილის გამოსავლენად დღეს რუსთავის „მეტალურგის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან პროფკავშირები-I და „დინამო". მატჩის დასაწყისი 18 საათზე.

**ნახევარფინალური მატჩების განრიგი შეიცვალა. თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე დღეს 19 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან საქართველო — სამხრეთი ზონის გუნდი. ამავე დროს „ლოკომოტივის" სტადიონზე ითამაშებენ რსფსრ-ს და უკრაინის კოლექტივები.**

**კვირას, 2 აგვისტოს გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე დილით, 10 საათზე III ადგილისათვის ითამაშებენ ნახევარფინალებში დამარცხებული გუნდები, ხოლო 18 საათზე ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე შედგება სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების საფეხბურთო ტურნირის ფინალური მატჩი.**





**გუშინ, თბილისში, ასპარეზობაში ჩაებნენ კლასიკური სტილით მოჭიდავეები. ერთი დღით ადრე კი ჭაბუკებს გამოცდები ჩაუტარდათ თეორიულ და საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ამ ფოტოსურათებზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა გადაიღო, სწორედ ამ გამოცდების მომენტებია ასახული.**

## კვლავ დამარცხდნენ

**სამტრედიაში,** მოჭადრაკეთა ტურნირის ბოლოსწინა ტურში ქართველები კვლავ დამარცხდნენ, ამჯერად — რუსეთის ფედერაციის ძლიერ გუნდთან — 1,5-4,5. აკაკი იაშვილი დაუზავდა ილია ოდესკის, გივი ქორიძემ სძლია იური კოვარსკის, დანარჩენებმა კი წააგეს.

ხუთშაბათს დამთავრდა გადადებული პარტიები. როგორც მოსალოდნელი იყო, ქორიძის პარტია უკრაინელ ზელენიუკთან ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, უკრაინის გუნდთან გამართული მატჩის საბოლოო ანგარიშია 3,5-2,5 სტუმრების სასარგებლოდ.

ჭაბუკთა ტურნირში ბოლო ტურის წინ 16,5 ქულით დაწინაურდა პროფკავშირების პირველი ნაკრები გუნდი. შემდეგ მოდიან: რსფსრ — 15, უკრაინა — 14, „უროჟაი" — 10, საქართველო — 8,5, პროფკავშირთა II ნაკრები — 8.

გოგონების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: პროფკავშირები-I — 7 ქულა, პროფკავშირები-II, სამხრეთი ზონა, რსფსრ — 6,5-6,5; დასავლეთი ზონა — 5,5, უკრაინა — 5.



## როგორ ისვენებთ?

გვესაუბრება უკრაინის განათლების სამინისტროს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ნიკოლაი კრივოვეზიუკი:

— თბილისში სევასტოპოლიდან ჩამოვედით, სადაც ორკვირიანი შეკრება გვქონდა. მასპინძლები გულთბილად შემოგვეგებნენ აეროპორტში, მერე თქვენი ახალი სტუდქალაქის შესანიშნავ მაღლივ კორპუსში დაგვაბინავეს. ჩვენთან ერთად აქ კიდევ სამი დელეგაცია ცხოვრობს. უკვე დავათვალიერეთ თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ფეხით გავიარეთ რუსთაველის პროსპექტი. შეფები — განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს მუშაკები — გვერდიდან არ გვცილდებიან. ჩვენს მატჩს თქვენს გუნდთან სპორტის დამსახურებული ოსტატი მურთაზ ხურცილავა ესწრებოდა, რომელმაც ორივე გუნდს შეგვიქო თამაში.

ქართველ ბიჭებს დავუმეგობრდით. ერთად მივიღეთ მონაწილეობა დისკოტეკაში. ერთად ვიმღერეთ ქართული სიმღერები.



უკრაინელი მოსწავლე ფეხბურთელები ეცნობიან თბილისს.

## ცურვა

ჭადრაკი

ცურვა. ხოზის საცურაო აუზი „იმედი".

**გოგონები. კომპლექსური ცურვა. 400 მ.** ს. ლაფტევა — 5.22,1, ე. გრაჩიოვა — 5.22,75, მ. ნორხინა (სამივე — პროფკავშირები-I) 5.24,25... XVII. მ. საფარიანი (საქართველო) — 5.49,54; **ბატერფლაი. 50 მეტრი.** ა. ვასილიევა (პროფკავშირები-I) — 30,62, ტ. მოსკვიჩიოვა („დინამო") —31.14. ნ. აველოვა (პროფკავშირები-II)— 31,25... VI. ნ. ზოსიმოვა — 31.86, XXII. ა. სტარეცკაია (ორივე — საქართველო) — 33,98; **გულაღმა. 100 მეტრი.** მ. გირშინა (პროფკავშირები-I) — 1.11,42; გ. სმოტრიაკოვა (საბჭოთა არმია) — 1.11,55, ტ. კოლიანოვა (პროფკავშირები-II) — 1.12,09... XXII. ე. რატიანიძე — 1.18.01; XXV... ი. ქორჩილავა — 1.20,32. ...XXVII ე. ტერეგუნოვა (სამივე — საქართველო)— 1.20,67; **ბრასი. 200 მეტრი.** ა. მახოვა (პროფკავშირები-I) — 2.46,37, ი. ვასილეცი („დინამო")—2.50,87. ნ. მოსკალცევა (პროფკავშირები-II) — 2.51,05, ...X. თ. წიკლაური — 2.56,00.. XVI. ო. იაკუშევა — 2.58,59... XXII. მ. კოლესნიკოვა (სამივე — საქართველო) — 3.00,65; **ესტაფეტა. 4X100 მ თავისუფალი სტილით.** პროფკავშირები-I — 4.13,10, „დინამო" — 4.14,47, პროფკავშირები-II — 4.17,07... VII. საქართველო — 4.28,46.

**ბიჭები. კომპლექსური ცურვა. 400 მეტრი.** რ. არეფიევი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 5.08..55, დ. ნესტერენკო (უკრაინის განათლების სამინისტრო) — 5,09,30, ა. სოკირკო (პროფკავშირები-II) — 5.09,32 ...XII. ი. ბაკლაგოვი — 5.24,78... XX. ვ. ზოლატარიოვი (ორივე — საქართველო) — 5.37,52; **ბატერფლაი. 50 მეტრი.** ა. ტიმოფეევი (პროფკავშირები-II) 29,05. ა. ნაუმონკო („დინამო") — 29,07. ა. კლოჩკოვი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 29,14, ...XX. ნ. თაყაიშვილი — 32,05. XXI. ა. ჩერკასოვი — 32,06... XXVII. გ. კიწურაშვილი (სამივე — საქართველო) — 33,61. **გულაღმა. 100 მეტრი.** ა. გრაბიკი — 1.07,20. მ. გავრილოვი — 1.07,68, ს. პანოვი (სამივე — პროფკავშირები-I) — 1.07,73, ...XXI. დ. კანარევი — 1.14,51, ...XXIII. ა. კონტრიძე — 1.14,90. XXIV. დ. მოროზოვი (სამივე — საქართველო) — 1.15,21; **ბრასი, 200 მ.** ვ. პაშჩენკო — 2.38,75, ვ. არსენიევი (ორივე — პროფკავშირები-I) — 2.38,94. ა. კორნევი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 2.40,56, ...XXVII. ვ. ზოლოტარიოვი (საქართველო) — 2.56,81; **ესტაფეტა, 4X100 მ. თავისუფალი სტილი.** პროფკავშირები-I — 3.57,22, განათლების სამინისტრო, უკრაინა— 4.01,22, „დინამო" — 4.02,8, ...IX. საქართველო — 4.12.40.

**გოგონები. თავისუფალი სტილი. 200 მ.** ვ. სტროგანოვა (პროფკავშირები I) — 2.13,65, ტ. კუზმინა (პროფკავშირები II) — 2.13.65, ი. პროხორენკოვა (პროფკავშირები I) — 2.15,78, ...XV. ნ. ზოსიმოვა — 2.25,49, XIV. ე. გოგოლევა — 2.35,90. XVI. მ. ასატურიანი (სამივე — საქართველო) — 2.36,87, **800 მ.** ო. გნიდიუკი (პროფკავშირები I) — 9.35,44, ი. ზაბლოტნიკოვა (პროფკავშირები II) — 9.37,6, ტ. კოზელი (პროფკავშირები-I)— 9.39,22, ...XIX. მ. საფარიანი — 10.29,9, მ. ასატურიანი (ორივე — საქართველო) — 10.59,55; **გულაღმა. 50 მ.** მ. გირშინა (პროფკავშირები I) — 33,19, ო. კობილიანსკაია („დინამო") — 33,57, ტ. კოლიანოვა (პროფკავშირები II)— 33,67, ...XXII. ი. ქორჩილავა — 37.01, XXIII. ე. რატიანიძე — 37,23, XXVIII ე. ტერეგუნოვა (სამივე — საქართველო) —38,13; **ბატერფლაი. 100 მ;** ა. ვასილიევა — 1.08,78, ს. ლაპტევა (ორივე — პროფკავშირები-I) — 1.0,9,10, ლ. ტერეხოვა (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 1.09,19, ...XX. ა. სტარეცკაია — 1.16.21, XXIII. ნ. მარტინოვა (ორივე — საქართველო) — 1.18.91. **კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მ.** პროფკავშირები I — 4.41,46, „დინამო" — 4.41,51, პროფკავშირები II — 4.42.87, ... VII. საქართველო — 4.59,95 .

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 146.

(დასასრული იქნება)

შეჯიბრების წინ

# ბიჭები ოქროს მედლებზე ფიქრობენ...

**ქართველ** კალათბურთელებს ბევრი სასახელო ფურცელი ჩაუწერიათ სამამულო სპორტის ისტორიაში, ბევრ პაექრობაში უსახელებიათ თავი, ცეცხლოვანი თამაშითა და მაღალი ოსტატობით მოუხიბლავთ ათასობით მაყურებელი. მართალია, ჩავარდნებიც ჰქონიათ, მაგრამ დღეს უკვე ქართული კალათბურთი აღმავლობის გზაზეა. ჭაბუკი კალათბურთელები წარმატებით გამოდიან საკავშირო სარბიელზე. ამჟამად ისინი, გოგონებთან ერთად, სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის ემზადებიან.

რა დასამალია და, საქართველოში ვაჟი კალათბურთელები ოსტატობით ყოველთვის სჯობნიდნენ ქალებს. დღესაც სჯობნიან, მაგრამ დღეს ორივე გუნდს (ჭაბუკთა გუნდის უფროსი მწვრთნელი ვაჟა ჭკუასელი, მწვრთნელი ავთანდილ ჩხიკვაძე, ექიმი ჰამლეტ მიშიევი; გოგონათა გუნდის უფროსი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი, მწვრთნელები ვაჟა ჭოტაშვილი და ნოდარ იანქოშვილი, ექიმი ლალი მიქაძე) ერთი მიზანი აქვს დასახული, რაც შეიძლება უკეთ გამოვიდნენ. შეუძლიათ დასახული ამოცანების შესრულება? ვკითხეთ ნაკრები გუნდების უფროს მწვრთნელებს ვაჟა ჭკუასელს და ნუგზარ ჭეიშვილს.

**ვ. ჭკუასელი:** ოლიმპიური რეზერვის სკოლის (დირექტორი მერაბ კეკელიძე) ბაზაზე ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ჩამოვაყალიბეთ ჩვენი გუნდი. არ გამოგვრჩენია სათანადო მონაცემების მქონე არც ერთი მოზარდი, ყველას მივეცით თავის გამოჩენის საშუალება. საბოლოოდ 18 კალათბურთელი შევარჩიეთ და საკავშირო თამაშებისთვის მზადებას შევუდექით. წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ჩავატარეთ საწვრთნელი შეკრებები ბაკურიანში, დიდ ჯიხაიშში, თელავში, ლესელიძეში, თბილისში. მონაწილეობა მივიღეთ რამდენიმე საკავშირო ტურნირში — ლენინგრადსა და დნეპროპეტროვსკში პირველი ადგილები დავიკავეთ. ამასობაში ნაკრების ძირითადი ბირთვიც გამოიკვეთა. ყველაზე გამოცდილია კახა შენგელია (მისი სიმაღლეა 205 სმ), რომელმაც თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდის შემადგენლობაშიც ითამაშა. კახა შარშან არჩილ ხელაშვილთან (198 სმ) ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ჭაბუკებს შორის. წლეულს ასეთსავე წარმატებას მიაღწია ზაზა გვარამიამ (196 სმ). კარგად თამაშობენ გია კოპალეიშვილი (196 სმ), ვასილ კვეზერელი (196 სმ), მიხეილ ნიკურაძე (185 სმ), ლევან დავითაია (180 სმ), სწორედ ეს კალათბურთელები შეადგენენ ნაკრების ძირითად ბირთვს. დანარჩენების იმედიც გვაქვს. მზადების პერიოდში მეტოქე გუნდებთან თამაშის დროს დავრწმუნდით, რომ მათ არც სიმაღლით ჩამოვრჩებით (ჩვენი გუნდის საშუალო სიმაღლეა 190 სმ), არც ტექნიკითა და ფიზიკური მომზადებით. ასე რომ, შეგვიძლია ფინალში გავიდეთ. ქვეჯგუფში ჩვენი მეტოქეები იქნებიან უკრაინის განათლების სამინისტროს, საბჭოთა არმიის, საკავშირო განათლების სამინისტროს სამხრეთი ზონისა და პროფკავშირების-II ნაკრები გუნდები. ამ ხუთეულიდან ჩვენთან ერთად ფინალში გასვლის შანსი აქვს უკრაინისა და სამხრეთი ზონის ტანმაღალი კალათბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდებს, მაგალითად, სამხრეთი ზონის გუნდშია ალმაათელი დენის პეტენოვი, რომლის სიმაღლეა 210 სმ. მიუხედავად ამისა, ჩვენი მიზანია ფინალში გასვლა და ოქროს მედლებისთვის ბრძოლა.

**ნ. ჭეიშვილი:** გოგონებს ოქროს მედლებზე მხოლოდ ოცნება შეუძლიათ. მართალია, კოლექტივი წლეულს თებერვალში ჩამოვაყალიბეთ, მაგრამ საკავშირო თამაშებისთვის მზადების გეგმა უკვე შევასრულეთ. საწვრთნელი შეკრებები გვქონდა თელავში, ლესელიძეში, თბილისში, ვმონაწილეობდით რამდენიმე საკავშირო ტურნირში, ორჯერ მეორე ადგილი დავიკავეთ. სამატჩო შეხვედრები ჩავატარეთ ხარკოვისა და მოსკოვის ნაკრებ გუნდებთან. თითქოს ურიგოდ არ ვართ მომზადებული, მაგრამ ჩვენს „ტანდაბალ" გოგონებს (ყველაზე მაღალი კალათბურთელის, ეკა ბერელაძის სიმაღლე 187 სანტიმეტრია) გაუჭირდებათ ბრძოლა უკრაინის განათლების სამინისტროს, საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს", საკავშირო განათლების სამინისტროს დასავლეთი ზონისა და პროფკავშირების I კოლექტივებთან. მიუხედავად ამისა, ფარხმალს არ ვყრით. გოგონები გულმოდგინედ და ხალისით ვარჯიშობენ. ვეცდებით, ქვეჯგუფში მესამე ადგილი დავიკავოთ და მეხუთე-მეექვსე ადგილისათვის ბრძოლის უფლება მოვიპოვოთ.

საუბარი ჩაიწერა
ვაჟა დანელიამ.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

**დამთავრდა** უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის აუტსაიდერთა თავისებური „მინი-ტურნირი". მოგება ყოველ გუნდს აწინაურებდა სწორედ უშუალო კონკურენტთან შეხვედრაში და ამიტომაც გამარჯვებისათვის საჭირო იყო თავგამოდებული, უშეღავათო ბრძოლა.

„მინი-ტურნირი" ყველაზე უკეთ ალმა-ათის „ქაირათმა" განვლო, რომელმაც თავის ორ უშუალო კონკურენტთან ბრძოლაში მაქსიმუმი მოიპოვა — 4 ქულა. 3 ქულა გაინაღდეს ლენინგრადელმა ფეხბურთელებმა, ჩვენი გუნდებისათვის კი ეს უაღრესად საპასუხისმგებლო ტურნე ფრიად სავალალო შედეგით დამთავრდა: თბილისის „დინამომ" ორ მატჩში მხოლოდ 1 ქულა აიღო, ლანჩხუთის „გურიამ" კი, თუმცა ორივე თამაში მინიმალური ანგარიშით წააგო, თავის ისედაც მოკრძალებულ „აქტივს" ვერაფერი შემატა.

უმაღლეს ლიგაში თბილისის „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიის" წლევანდელი შედეგები კატასტროფულ მდგომარეობას უქმნის ორივე კოლექტივს. თუ ეს ვითარება ახლავე, უახლოეს ხანებშივე არ გამოსწორდა, „გურია" კვლავ დაუბრუნდება I ლიგას, ხოლო თბილისის „დინამო" პირველად თავისი არსებობის ისტორიაში დადგება დაბლა ჩამოქვეითების ფრიად სავალალო აუცილებლობის წინაშე.

არა გვგონია „დინამოსა" და „გურიის" ფეხბურთელებს, მათს ხელმძღვანელებს არ ჰქონდეთ შეგნებული, რომ თავიანთივე მიზეზით წარმოუდგენლად რთული პრობლემების წინაშე იმყოფებიან. მაგრამ ჯერჯერობით რაღაც არ ჩანს, რომ ისინი საგანგებო, ექსტრემალურ ზომებს მიმართავდნენ ამ უმძიმესი კრიზისიდან თავის დასაღწევად, ორივე გუნდი, განსაკუთრებით კი „დინამო", ისე თამაშობს, თითქოს შემაშფოთებელი არაფერი მომხდარიყოს.

მთელი ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა აღშფოთებულია ჩვენი ფეხბურთელების ყოვლად უნიათო, უსუსური თამაშით, წინ კი კიდევ უფრო ძნელი, კიდევ უფრო რთული მატჩები გველის.

სწორედ ჩვენს სპორტულ საზოგადოებრიობას სრული უფლება აქვს მოითხოვოს და მოითხოვს კიდეც თბილისის „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელთაგან სულ სხვა შემართებას, სულ სხვა თავგანწირვას და პატრიოტულ სულისკვეთებას. თუ ვინმეს ჰგონია, რომ თბილისის „დინამოს" მაისური ფეხბურთელს რაღაც განსაკუთრებულ პრივილეგიებს აძლევს, ძალიან ცდება. ამ უაღრესად რთულ ვითარებაში სულ სხვა მონდომებით, სულ სხვა ენერგიით უნდა თამაში და ვისაც ამის გაკეთება არ სურს, ან არ შეუძლია, ადგილი უნდა დაუთმოს სხვას, რომელიც მინდორზე ამდენს მაინც შეძლებს, მეორე და მესამე „მშრალი" ბურთი არ მიიღოს თავის კარში, როგორც ეს ალმაათაში მოხდა, ან წინა ხაზზე ისე არ დაძაბუნდება, ამ გაჭირვების ჟამს თუნდაც მცირედი რამ არ შესძინოს თავის კოლექტივს.

შექმნილი მდგომარეობა, ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა უამრავი წერილი, მათი სურვილები და მისწრაფებანი უფლებას გვაძლევს ვთქვათ: 0:3 „ქაირათთან" ამჟამად შექმნილ ვითარებაში სამარცხვინოდ მიგვაჩნია თბილისის „დინამოს" კოლექტივის თითოეული წევრისათვის, სირცხვილს კი ბრალეულნი მხოლოდ თავგანწირვით თუ ჩამოირეცხავენ.

**„ქაირათი" (ალმა-ათა) — „დინამო" (თბილისი) 3:0 (1:0)**

ალმა-ათა, ცენტრალური სტადიონი. 29 ივლისი.

**„ქაირათი":** ბურაკოვი, გრიჯანი, ტიმოფეევი, იაროვენკო, ვოლგინი (კარაჩუნი, 58), ვლასენკო (ნიკიტენკო, 65), ოგაი, ლედოვსკიხი, სალიმოვი, მასუდოვი, ფეხლევანიდი.

**„დინამო":** გაბელია, კეტაშვილი (ქვანია, 30), ჩივაძე, ჰედია, ცვეიბა, გოგრიჭიანი (მიქაშავიძე, 72), სვანაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი, ქეცბაია, შენგელია.

მსაჯი ი. ტიმოშჩენკო (დონის როსტოვი).

დუბლიორები — 0:2. გოლები გაიტანეს ქვანიამ და მიქაშავიძემ.

მასპინძლებმა საკმაოდ ადრე და საკმაოდ იოლადაც მიაღწიეს წარმატებას: იაროვენკო სწრაფად გავიდა დინამოელთა მცველებს შორის, რომლებმაც ვერ შეძლეს მისი გარღვევის ნეიტრალიზება, ბურთი გადასცა ფეხლევანიდს და გაბელიას კარში პირველი გოლი აღმოჩნდა.

ტაიმის დასასრულამდე თბილისელები მხოლოდ კონტრშეტევებით მოქმედებდნენ, მაგრამ ზედმეტად ინდივიდუალურად, გადაცემებიც კი უკიდურესად უზუსტო ჰქონდათ, ამიტომაც „ქაირათის" კართან მათ თითქმის არც ერთი სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ.

შესვენების შემდეგ „დინამო" გაცილებით უფრო აქტიურად და მობილიზებულად თამაშობდა. დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში „ქაირათის" კარი რამდენიმე აშკარად სახიფათო მომენტის წინაშე აღმოჩნდა. თავდასხმის ყველაზე შედეგიან მოთამაშეს შენგელიას შეეძლო საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ თავი გამოიჩინა მეკარე ბურაკოვმა, ერთ მომენტში კი ტიმოფეევმა ცარიელი კარიდანაც გამოიტანა ბურთი. შემდეგ შენგელიამ შეძლო ბურთის გატანა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა „თამაშგარე მდგომარეობა" მიიჩნია, რასაც წამსვე დაეთანხმა არბიტრი და ამის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ ახალი ძალებით, ახალი ენერგიით შეეტიათ, დინამოელებმა ბრძოლის ველი მთლიანად მასპინძლებს დაუთმეს. რა თქმა უნდა, ალმაათელებმა კარგად გამოიყენეს მეტოქის ეს უნებისყოფობა და მასუდოვმა და კარაჩუნმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს „დინამოს" კარში.

თბილისის „დინამომ" მიმდინარე ჩემპიონატში მეცხრე დამარცხება განიცადა!

**„ზენიტი" (ლენინგრადი) — „გურია (ლანჩხუთი) 1:0 (0:0)**

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახ. სტადიონი. 29 ივლისი.

**„ზენიტი":** ბირიუკოვი, კუზნეცოვი, სტეპანოვი, ტიმოფეევი, აფანასიევი, ვორობიოვი, დოლგოპოლოვი, ივანოვი (კანიშჩევი, 46), ჩუხლოვი (სალენკო, 61), ბარანიკი, კლემენტიევი.

**„გურია":** ქანთარია, მიქაბერიძე (ჩხაიძე, 80), რომანჩუკი, ე. თევზაძე, არზიანი, ხლუსი, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, მეგრელაძე, ფრიდონაშვილი, მ. თევზაძე (ჯიშკარიანი, 80).

მსაჯი ო. ჩინენოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:2. ლანჩხუთელთაგან ორივე ბურთი მიქაბერიძემ გაიტანა.

ლანჩხუთელი ფეხბურთელები ბევრს ეცადნენ წარმატებისათვის მიეღწიათ მეტოქესთან ბრძოლაში, რომელიც ახალი ხელმძღვანელობის მეთაურობით მაქსიმალური შესაძლებლობით ცდილობს თავი დააღწიოს მძიმე ჩავარდნას, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, სველ, წვიმიან ამინდში საერთო უპირატესობა ლენინგრადელებს ეპყრათ და მხოლოდ „გურიის" დაცვითი ხაზების თავგამოდებულმა თამაშმა გადაარჩინა გუნდი მეტი ანგარიშით წაგებას.

ერთადერთი გოლი მეორე ტაიმის დასაწყისშივე, 48-ე წუთზე გაიტანა აფანასიევმა, მან კარიდან დაახლოებით 17-18 მეტრის დაცილებით მიიღო მარჯვენა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი და უძლიერესი თავური დარტყმით გაგზავნა ბურთი მაღალ კუთხეში.

ამ მეტად ეფექტურმა გოლმა გამარჯვება მოუტანა „ზენიტს", თუმცა ერთ-ერთ მომენტში სტუმრებს შეეძლოთ საპასუხო ბურთის გატანა: ხლუსმა [illegible] კარში, მაგრამ ბურთი [illegible] მცველმა სტეპანოვმა და [illegible] დარჩენილი კარიდან გამოიტანა [illegible].

ამ მატჩში ერთი ასეთი კაზუსი მოხდა: 50-ე წუთზე ბარანიკმა ძლიერად დაარტყა, ბურთი მოხვდა ზედა ძელს, მინდორზე დაეშვა და მინდორს დაუბრუნდა. არბიტრმა კარი აღებულად ჩათვალა, მაგრამ გვერდითი მსაჯის მ. გუშჩინის (კუიბიშევი) დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გადათქვა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება. მატჩის ინსპექტორმა ო. ჩინენოვს დაუწერა შეფასება „4", ხოლო მ. გუშჩინს — „2".

საკავშირო ჩემპიონატის შემდგომი ტურის მატჩები 11 აგვისტოს გაიმართება, მანამდე კი ლანჩხუთის „გურია" 3 აგვისტოს პირველ წრეში გამოტოვებულ მატჩს ჩაატარებს კიევის „დინამოსთან". შემდეგ, 20 აგვისტოს, ლანჩხუთის „გურია" დნეპროპეტროვსკში შეხვდება „დნეპრს", თბილისის „დინამო" კი დონეცკში ითამაშებს „შახტიორთან"

4-5 აგვისტოს შედგება სსრ კავშირის საფეხბურთო თასის პირველი მერვედფინალური მატჩები.

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი — მდგომარეობა 1 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „სპარტაკი" (მოსკოვი) | 19 | 9 | 8 | 2 | 31-18 | 26 | (—12) |
| 2. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 19 | 10 | 5 | 4 | 24-11 | 25 | (—13) |
| 3. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 19 | 9 | 5 | 5 | 27-19 | 23 | (—15) |
| 4. „ტორპედო" (მოსკოვი) | 20 | 7 | 9 | 4 | 19-13 | 23 | (—17) |
| 5. „შახტიორი" (დონეცკი) | 19 | 7 | 7 | 5 | 19-17 | 21 | (—17) |
| 6. „არარატი" (ერევანი) | 19 | 9 | 1 | 9 | 21-28 | 19 | (—19) |
| 7. „დინამო" (კიევი) | 16 | 7 | 5 | 4 | 23-11 | 19 | (—13) |
| 8. „დინამო" (მინსკი) | 19 | 7 | 5 | 7 | 20-18 | 19 | (—19) |
| 9. „მეტალისტი" (ხარკოვი) | 19 | 7 | 5 | 7 | 16-19 | 19 | (—19) |
| 10. „დინამო" (მოსკოვი) | 20 | 5 | 9 | 6 | 14-17 | 19 | (—21) |
| 11. „ნეფთჩი" (ბაქო) | 20 | 6 | 6 | 8 | 24-21 | 18 | (—22) |
| 12. „ქაირათი" (ალმა-ათა) | 19 | 7 | 3 | 9 | 16-24 | 17 | (—21) |
| 13. ცსკა | 19 | 5 | 5 | 9 | 17-24 | 15 | (—23) |
| 14. „დინამო" (თბილისი) | 19 | 5 | 5 | 9 | 17-25 | 15 | (—23) |
| 15. „ზენიტი" (ლენინგრადი) | 20 | 4 | 7 | 9 | 15-27 | 15 | (—25) |
| 16. „გურია" (ლანჩხუთი) | 18 | 3 | 5 | 10 | 9-20 | 11 | (—25) |

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში



**ქუთაისის** „მშენებელმა" საკავშირო ჩემპიონატის ორი შეხვედრა ვანის რაიონის სოფელ სალხინოს სტადიონზე გამართა. ქუთაისელმა რეგბისტებმა ჯერ აუტსაიდერი — თბილისის „შევარდენი" დაამარცხეს (21:0), ორშაბათს კი მეტად პრინციპულ მატჩში თავიანთ უშუალო კონკურენტს — კიევის „ავიატორსაც" სძლიეს — 21:7 (13:3).

თამაში ქუთაისელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა, რაზეც მათ მიერ გატანილი 4 ლელოც მეტყველებს. მე-4 წუთზე, აუტის მოწოდების შემდეგ, ლილუაშვილმა წამოიწყო იერიში, რომელიც ნემსიწვერიძემ ლელოს გატანით დააგვირგვინა. მე-15 წუთზე ლილუაშვილმა საჯარიმო დარტყმით ანგარიში 7:0-მდე გაზარდა. მალე ხაირულინმა შეამცირა სხვაობა ანგარიშში, მაგრამ ტაიმის ბოლოს შერკინების შემდეგ დაწყებული იერიში კვლავ ლელოს გატანით დამთავრდა — იგი ფრთის სამმეოთხედელმა ძოწენიძემ გაიტანა, ლილუაშვილმა კი რეალიზაციაც შეაგდო.

შესვენების შემდეგ „ავიატორი" იერიშზე გადავიდა, მაგრამ ქუთაისელებს მატჩის სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ და ვეტერანმა რეგბისტებმა — ლიპარტელიანმა და ნაჭყებიამ შესაბამისად 67-ე და 75-ე წუთებზე კიდევ ორჯერ დამიწეს ბურთი „ავიატორის" კარის ხაზს მიღმა.

„მშენებელმა" ასეთი შემადგენლობით ისპარეზა: **ძაგნიძე; გაბრიჩიძე, მ. ხარშილაძე, ლიპარტელიანი, ძოწენიძე; გიორგაძე, ლოსაბერიძე; ობოლაძე, ტურძელაძე, ლილუაშვილი (გაბუნია), ნაჭყებია (ლიკლიკაძე), ხამაშურიძე (გრიგალავა), ფხაკაძე, თხელიძე, ნემსიწვერიძე.**

ორი შეხვედრა გამართა თბილისის „ელმავალმა". იგი ტირასპოლში „ელექტრომაშთან" დამარცხდა (3:20), ორშაბათს კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე „შევარდენს" ეთამაშა და მოლოდინის საწინააღმდეგოდ მეტწილად სათამაშო უპირატესობასაც ფლობდა და ანგარიშშიც წინ იყო. მხოლოდ მეორე ტაიმის 38-ე წუთზე ჩავლეიშვილის გარღვევის შემდეგ შეძლო „შევარდენმა" დაწინაურება და შემდეგ გამარჯვებაც — 18:15 (6:12).

XIX და XX ტურების სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „პრიმორეცი" 25:3, „ავიატორი" — ასკ 26:6, „ფილი" — „ეტს" 9:6, „სლავა"—სსა 10:16, „ელექტრომაში" — ასკ 8:18, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — სსა 3:6.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 31 ივლისისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსა (მონ.) | 20 | 13 | 4 | 3 | 50 | (—10) |
| „მშენ." (ქ.) | 20 | 14 | 1 | 5 | 49 | (—11) |
| „ავ." (კ.) | 20 | 12 | 2 | 6 | 46 | (—14) |
| „ფილი" (მ.) | 20 | 11 | 3 | 6 | 45 | (—15) |
| ასკ (ა.-ა.) | 20 | 10 | 4 | 6 | 44 | (—16) |
| „სლავა" (მ.) | 19 | 11 | 1 | 7 | 42 | (—15) |
| „ეტს" (კრ.) | 20 | 10 | 2 | 8 | 42 | (—18) |
| „ლოკ." (მ.) | 19 | 10 | 1 | 8 | 40 | (—17) |
| „ელ." (ტირ.) | 20 | 5 | 1 | 14 | 31 | (—29) |
| „ელმავალი" | 17 | 6 | 1 | 10 | 30 | (—21) |
| „პრიმ." (ლ.) | 19 | 3 | 0 | 16 | 25 | (—32) |
| „შევ." (თბ.) | 20 | 2 | 0 | 18 | 24 | (—36) |

ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა. უკვე გაირკვა პირველი ექვსეულის ტურნირის ორი მონაწილე — სსა და „მშენებელი". თავი ქუდში აქვს „ავიატორსაც". დღეს ქუთაისელები ალმა-ათაში ხვდებიან ასკ-ს და თუ გაიმარჯვებენ, „ეტს"-ს ექვსეულში გასვლის შანსი გაუჩნდება, დარჩენილი ორი ადგილისათვის კი მოსკოვის სამი გუნდი იბრძოლებს.

• • •

**ბასულ** შაბათს სიდნეიში გაიმართა ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ნაკრებების ყოველწლიური მატჩი „ბლედისლოუს თასისთვის". მასპინძელთათვის ამ შეხვედრის მოგება, მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაში წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ, ერთგვარი რეაბილიტაცია იქნებოდა (მით უფრო, რომ ისინი ამ შეჯიბრებაში ჩემპიონებს არ შეხვდებიან), მაგრამ ახალზელანდიელებმა 4 ლელო გაიტანეს, გაიმარჯვეს — 30:16 (6:3) და დაამტკიცეს, რომ ამჟამად მსოფლიოში მართლაც უძლიერესნი არიან.

## ჩვენი ენა ქართული

# „მრბოლი" თუ „მრბოლელი"

რუსული **велогонки** ქართულად თარგმნილია, როგორც „ველორბოლა", **мотогонки** — „მოტორბოლა", ხოლო **гонщик**-ის შესატყვისად ხან „მრბოლი" არის გამოყენებული, ხან — „მრბოლელი".

„რბოლა" ნაზმნარი სახელია და იმასვე ნიშნავს, რასაც „სრბოლა", რბენა, სირბილი". გრამატიკაში ამ ფორმებს საწყისებს უწოდებენ. „რბოლა, სრბოლა, რბენა" „რბის" ზმნის საწყისებია, მათი **ა** დაბოლოება საწყისის მაწარმოებელია, ოღონდ ფუძესა და ამ დაბოლოებას შორის ჩაერთვის **ოლ** სუფიქსი. „სრბოლაში" თავკიდური **ს** ფუძის კუთვნილება არ არის, იგი სხვა ელემენტია (ა. შანიძე).

„სირბილიც" იმავე ზმნის საწყისია, მაწარმოებელია **ილ**, ხოლო სიტყვას თავში **სი** ელემენტი დაერთვის, რომელიც სხვა საწყისებშიც გვხვდება (სი-კვდ-ილ-ი, სი-მშ-ილ-ი, სი-მძიმ-ილ-ი...).

**ოლ**-იანი საწყისები ქართულში სხვაც გვხვდება: ერჩის — რჩოლა, თრთის — თრთოლა, იბრძვის — ბრძოლა, უძღვის — ძღოლა, ქრის — ქროლა, ძრწის — ძრწოლა, ჰყავს — ყოლა და ა. შ.

„რბის" ზმნისაგან მიმღეობაც იწარმოება (მიმღეობას უწოდებენ ზმნის უცვლელ ფორმას, რომელიც იბრუნვის და წინადადებაში უმეტესად ისეა გამოყენებული, როგორც ზედსართავი სახელი). იგი საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნაა. ასეთი ზმნების მიმღეობები სხვადასხვანაირად იწარმოება, კერძოდ, **ოლ**-იანი ზმნების მიმღეობათა საწარმოებლად ჩვეულებრივ **მ** თავსართი გამოიყენება, რომელსაც შეიძლება **ე** ხმოვანიც ახლდეს, აი მაგალითები:

**იბრძვის — მბრძოლი:** გვეედრები... განიმტკიცე მბრძოლი მარჯვენა ყორჩიბაში (ვ. ბარნოვი); განთქმული მბრძოლი (ვ. ბარნოვი); ჩაიკეცა სულთამბრძოლი, წამლის კვამლში გაეხვია (აკაკი). „მბრძოლზე" უფრო ხშირად „მებრძოლი" გამოიყენება: ბინდმა გაყარა მებრძოლნი მტერნი (ნ. ბარათაშვილი).

**რბის — მსრბოლი:** დაინახა შიკრიკი მსრბოლი (გ. ლეონიძე); დედამიწა... შენკენ ილტვის.. მარადის მსრბოლი (ირ. აბაშიძე); სიშორის ნისლმა მიჰფარა თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი (გრ. ორბელიანი).

**ქრის — მქროლი:** ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი ღელეთა შორის აღმოკვნესოდნენ (ნ. ბარათაშვილი).

**ჰყავს — მყოლი:** შეგროვდნენ შეიარაღებული მყოლნი (ვ. ბარნოვი). ასევეა ნაწარმოები „მიმყოლი, გამყოლი, წამყოლი"...

**ერჩის — მერჩოლი:** ... ყველაზე მტრულად მერჩოლი, არვისთან მქონი ზავისა (ვაჟა-ფშაველა).

**წევს — მწოლი:** გაალვიძა შიგნით მწოლი მისი ცოლი (აკაკი). ამ ბრახუნზე ოთახში მწოლი შეკრთა (ა. ყაზბეგი და სხვა). (მაგალითები ამოღებულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან").

ასეთივე მიმღეობებია **მრბოლი, მძღოლი, მთრთოლი** (ვინც თრთის), **მძრწოლი** (ვინც ძრწის) და სხვ.

ამ მიმღეობებს **ელ** ბოლოსართი არ სჭირდებათ; მაშასადამე, ენობრივად სწორი ფორმაა **მრბოლი** და არა **მრბოლელი**. უნდა ვთქვათ და ვწეროთ: **ველორბოლა, ველომრბოლი, მოტორბოლა, მოტომრბოლი, მრბოლი** (მრავლობით რიცხვში — მრბოლები).

**გიორგი შალამბერიძე,**
**პროფესორი.**

## პროფტექნიკური სასწავლებლების XVIII საკავშირო სპარტაკიადა

# შვიდიდან ექვსი პრიზიორია

**კიშინიოვში** გამართულ პროფტექნიკური სასწავლებლების XVIII საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელ-გან ყველაზე კარგად ძიუდოისტები გამოვიდნენ. გუნდის შვიდი წევრიდან ექვსმა მედლები მიიღო. მათ 187 ქულა მოაგროვეს და გუნდურ პირველობაშიც გაიმარჯვეს. მეორე იყო მოლდავეთის გუნდი (137 ქულა), ხოლო მესამე—ლენინგრადის ნაკრები (130).

ჩვენი ძიუდოისტებიდან ჩემპიონები გახდნენ გიორგი ხიდიბეგოვი (57 კგ. თბილისის 31-ე პროფტექსასწავლებელი) და მამუკა მაისურაძე (83 კგ, სურამის მე-14 სასწავლებელი). მეორე ადგილი მამუკა მახარაძემ (53 კგ. თბილისის 33-ე სასწავლებელი) და ბაკურ თურქაძემ (68 კგ. რუსთავის მე-3 სასწავლებელი) დაიკავეს. მესამე — იმედა ბუცხრიკიძემ (62 კგ. რუსთავის მე-17 სასწავლებელი) და გენადი მუმლაძემ (+83 კგ. რუსთავის 162-ე სასწავლებელი).

აღსანიშნავია, რომ წინა სპარტაკიადაზე ჩვენი ძიუდოისტები XV ადგილზე გავიდნენ.

ჩვენი გუნდი ამ შეჯიბრებისთვის ვახტანგ კბილაშვილმა, ვაჟა ბალხამიშვილმა და ავთანდილ მამნიაშვილმა მოამზადეს.

# ცნობა პამირიდან

**როგორც** იცით, ქართველმა მთამსვლელებმა: ბიძინა გუჯაბიძემ (ხელმძღვანელი), თამაზ შარაშენიძემ, თორნიკე ბერიშვილმა, მირიან სერებრიაკოვმა, მერაბ ნემსიწვერიძემ და ამირან დოლიძემ პამირის მთიანეთში დალაშქრეს ლენინის პიკი.

იქიდან ჯგუფმა ფანის მთებში გადაინაცვლა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ჩაება. ჩვენი ალპინისტები ტექნიკური ასვლების კლასში ცდიან ძალას და განზრახული აქვთ ავიდნენ მწვერვალ ბოთხონაზე, რომელიც ზღვის დონიდან 5.304 მეტრზე მდებარეობს. მოიერიშე ჯგუფში არიან სპორტის ოსტატობის კანდიდატები ბიძინა გუჯაბიძე, თამაზ შარაშენიძე, მერაბ ნემსიწვერიძე. მალხაზ ცირეკიძე. გუნდის უფროსი მწვრთნელია სპორტის ოსტატი თამაზ ბაქანიძე.

## არახამია საუკეთესო ფორმაშია

**იუგოსლავიის** ქალაქ ტუზლაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირზე შედგა IX და X ტურის შეხვედრები. ქეთევან არახამიამ ორივე შეხვედრა მოიგო. მან უკვე ზედიზედ 6-ჯერ გაიმარჯვა. გთავაზობთ ამ ტურების შედეგებს:

**IX ტური:** იოსელიანი—კადილკარი — 0,5:0,5, შილანი — არახამია — 0:1, ხოიბერგი— ბრუსტმანი — 0,5:0,5, მაქსიმოვიჩი—ფრომეტა — 1:0, ნიკოლინი — არიასი — 0:1, მატვეევა — ტრაბერტი— 1:0, სახატოვა—ივანკა — 0,5:0,5, სემიონოვა — პეტროვიჩი — 0:1, კანელა — ვერეცი — 0:1.

**X ტური:** ფრომეტა—ვერეცი— 1:0, არახამია — კადილკარი —1:0, ბრუსტმანი — შილანი — 0,5:0,5, არიასი—ხოიბერგი — 0:1, მაქსიმოვიჩი — ნიკოლინი — 0,5:0,5, პეტროვიჩი—კანელა — 1:0, ივანკა — სემიონოვა — 0:1, ტრამერტი — სახატოვა — 1:0, იოსელიანი — მატვეევა — 1:0.

**ამრიგად, 10 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ნანა იოსელიანი — 8,5, ქეთევან არახამია, აგნეშკა ბრუსტმანი (პოლონეთი) — 8-8, ლიდია სემიონოვა — 7, გულნარა სახატოვა — 6,5.**

## 11 ტურის შემდეგ

**იუგოსლავიის** ქალაქ სმედერევსკა-პალანკაში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირი. XI ტურში ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც შავი ფიგურებით თამაშობდა, ყაიმზე შეუთანხმდა ირინა ლევიტინას. ლიდერი — მარტა ლიტინსკაია დამარცხდა პოლონელ მარგარეტ ვოისკასთან. იუგოსლაველი ალისა მარიჩი დაუზავდა ბრაზილიელ იოარ ჩავესს და ლიდერს დაეწია.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ლელჩუკი-ნიუბერგი — 1:0, კლიმოვა-არველი 1:0, მადლი-იზრაილოვა — 1:0, მარკოვიჩი-მინციანი — 0:1. იანა ფენისა და ადელ დე არმასის პარტია გადაიდო.

ამჟამად, 11 ტურის შემდეგ ლიდერთა სატურნირო მდომარეობა ასეთია: მარტა ლიტინსკაია, ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — 8-8 ქულა, ნონა გაფრინდაშვილი, ალისა კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია), ნინა იზრაილოვა (აშშ) — 7,5-7,5.

# სპორტული აგვისტო

**1-3. კლასიკური ჭიდაობა** (სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით). **თბილისი.**

**1-6. მშვილდოსნობა.** საქართველოს სსრ ჩემპიონატი. **ბათუმი.**

**2-8. ფარიკაობა** (სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით). **ქუთაისი.**

**2-9. კალათბურთი** (სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით). **თბილისი.**

**3-9. ჩოგბურთი** (სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით). **თბილისი.**

**4-9. ბადმინტონი** (სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით). **თელავი.**

**5-8. წყალში ხტომა** (სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით). **თბილისი.**

**5-9. ტყვიის სროლა** (სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით). **სოხუმი.**

**7-9. თავისუფალი ჭიდაობა** (სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით). **თბილისი.**

**7-9. სახანძრო-გამოყენებითი სპორტი.** საქართველოს სსრ ჩემპიონატი. **სამტრედია.**

**8-9. აკადემიური ნიჩბოსნობა** (სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით). **ფოთი.**

**8-9. ძიუდო** (სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით). **გორი.**

**13-19. ტყვიის სროლა** საქართველოს სსრ პირველობა იუნიორებსა, ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. **სოხუმი.**

**19-23. წყალში ხტომა** სსრ კავშირის—თასი. **თბილისი.**

**25-30. საგზაო-ტრეკის ველოსპორტი.** საქართველოს სსრ პირველობა ვაჟებს, ქალებსა და იუნიორებს შორის.

**26.VIII-2.IX. აკრობატიკა.** რესპუბლიკის პირველობა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე ახალგაზრდებს, ჭაბუკებსა და გოგონებს შორის.

**26.VIII-2.IX. მეკლდეურობა.** საქართველოს სსრ ჩემპიონატი. **კავკასიონი.**

## ნაკრები დაკომპლექტდა

**წყალში** მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ (როგორც ვიუწყებოდით, 10 მეტრიანი კოშკიდან ხტომაში თბილისელმა გიორგი ჩოგოვაძემ ვერცხლის მედალი დაისაკუთრა) მწვრთნელთა საბჭომ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები დაასახელა. გუნდში მოხვდნენ მინსკელი ანჟელა სტასიულევიჩი და ალექსანდრე გლადჩენკო, სვერდლოვსკელი ირინა ლაშკო, მოსკოველები ელენე მიროშინა და მარინა ბაბკოვა, ვორონეჟელი ნიკოლოზ დროჟინი, ერევნელი არსენ ჯავადიანი და თბილისელი გიორგი ჩოგოვაძე.

ნაკრების მთავარი ორიენტირი 1988 წლის ოლიმპიური თამაშებია, მაგრამ მანამდე გუნდს ბევრ საერთაშორისო ტურნირში მოუხდება გამოსვლა. მათ შორის უახლოესია ევროპის ჩემპიონატი, რომელიც 16 აგვისტოს საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში დაიწყება. სპეციალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სსრ კავშირისა და აშშ-ს წყალში მხტომელთა სამატჩო შეხვედრას, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში თბილისში ჩატარდება. ამ შეჯიბრებისათვის სპეციალურად მზადდება სამი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ტრამპლინი.

## ტელეტაიპი - მკითხველს

**ვარშავა.** 17 წლამდე კალათბურთელ გოგონათა ევროპის ჩემპიონატში ნახევარფინალების დრო დადგა. მანამდე კი ჯგუფური ტურნირის უკანასკნელ მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 70:67 (40:35) და ხუთი გამარჯვებით პირველი ადგილი დაიკავა. ხუთი მოგება აქვს მეორე ჯგუფში პირველ ადგილზე გასულ ბულგარეთის ნაკრებსაც. ნახევარფინალებში; რომლებიც დღეს გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირი-იუგოსლავია და ბულგარეთი-ჩეხოსლოვაკია.

**ბორმიო (იტალია).** პირველი შეხვედრა ჩაატარა აქ მიმდინარე იუნიორ კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა და ბრაზილიის გუნდი დაამარცხა — 89:64. მეორე შესარჩევ ჯგუფში აშშ-ისა და იუგოსლავიის სპორტსმენებს ორ-ორი გამარჯვება აქვთ.

**ლაიფციგი.** ადგილობრივ ტრეკზე საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ველოსიპედისტთა ტურნირი, რომელშიც ევროპის ათზე მეტი ქვეყნის სპორტსმენები გამოდიოდნენ. განსაკუთრებით დაძაბულად წარიმართა ასპარეზობა 1000 მეტრზე გიტში (ადგილიდან). გამარჯვება იენს გლიუკლიჰმა (გდრ) მოიპოვა (1.04,39), რომელმაც უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი, თანაგუნდელი მაიკ მალჰოვი (1.04,75). მესამე ადგილიც გდრ-ის წარმომადგენელს კნუტ შმიდტს ხვდა (1.05,74).

**ჰააგა.** „გრან პრის" პროგრამით გათვალისწინებულ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში მოსკოველმა ანდრეი ჩესნოკოვმა მესამე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა. საქმე ის გახლავთ, რომ შვეიცარიელმა კლაუდიო მეზადრიმ ავადმყოფობის გამო კორტზე გამოსვლა ვერ შეძლო. მეოთხედფინალში ბრძოლას გააგრძელებენ, აგრეთვე, მიროსლავ მეჩირი (ჩეხოსლოვაკია), მარტინ ჰაიტი (არგენტინა) და სხვა ცნობილი ჩოგბურთელები.

**ვანკუვერი.** საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელ ქალთა ნაკრები საერთაშორისო ფედერაციის თასისათვის ბრძოლას გამოეთიშა. მეორე წრეში ჩვენი სპორტსმენები კანადელმა ჩოგბურთელებმა დაამარცხეს — 2:1. პირველი ქულა მასპინძლებს ჰელენ კელეშიმ მოუტანა. მან მინსკელ ნატალია ზვერევას აჯობა 3:6, 6:4, 6:3. ლარისა სავჩენკომ ანგარიში გაათანაბრა. შეხვედრის ბედი წყვილთა ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა. ჩვენი გუნდი აქ დიდ იმედებს ამყარებდა უიმბლდონის ტურნირის ნახევარფინალისტებზე ლარისა სავჩენკოსა და სვეტლანა პარხომენკოზე, მაგრამ გამარჯვება მასპინძლებს ჰელენ კელეშსა და ჯილ ჰეტერინგტონს დარჩათ — 6:4, 6:3. სხვა მერვედფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: აშშ — საფრანგეთი 3:0, ჩეხოსლოვაკია—იუგოსლავია 3:0, გფრ—სამხრეთ კორეა 3:0, ბულგარეთი — ინდონეზია 2:1, ავსტრალია — ესპანეთი 2:1, არგენტინა — ახალი ზელანდია 3:0, ინგლისი — იტალია 2:1.

## მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# ტორბიორნ ნილსონი

33 წლის ტორბიორნ ნილსონი 80-იანი წლების შვედური ფეხბურთის სუპერვარსკვლავად აღიარეს. „გიოტებორგში" თამაშისას მის მიერ გატანილი გოლების რაოდენობამ კარგა ხანია სამასს გადააჭარბა. მაღალი და ფიზიკურად ძლიერი „ტოტე" (ასე ეძახიან მას) დაჯილდოებულია ყველა იმ თვისებით, რითაც ექსტრა-კლასის ფეხბურთელი გამოირჩევა. გარდა ამისა, მისი ყოფნა მინდორზე დიდ გავლენას ახდენს სხვა ფეხბურთელებზე. მას ძალუძს საბრძოლველად აღანთოს ამხანაგები და მძიმე წუთებში წაუძღვეს მათ. იგი გუნდის სული და გულია.

ტორბიორნ ნილსონი დაიბადა 1954 წლის 9 ივლისს. მისი საფეხბურთო კარიერა დაიწყო შვეციის III დივიზიონის კლუბ „იონსერედში". 1975 წელს იგი გადავიდა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და სახელგანთქმულ კლუბში „გიოტებორგში". არც შვეციის ნაკრების ხელმძღვანელებს დარჩენიათ შეუმჩნეველი მისი ნიჭი: ოსტატური დრიბლინგი, მოედნის ხედვა და, რაც მთავარია, გოლის გატანის შესაშური ალღო. 1976 წელს შედგა ნილსონის დებიუტი ნაკრებში, ხოლო მომდევნო წელს მან ხელი მოაწერა კონტრაქტს ცნობილ ჰოლანდიურ კლუბ „ეინდჰოვენთან".

საოცარია, მაგრამ ფაქტია: პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერას საზღვარგარეთ არასოდეს მოუტანია მისთვის წარმატება. მას ყოველთვის „სახლისკენ" მიუწევდა გული. თავისი საუკეთესო მატჩები ტორბიორნ ნილსონმა სწორედ „გიოტებორგის" ლურჯ-თეთრ მაისურში გამოწყობილმა ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ „ეინდჰოვენის" მეორე შვედი ვარსკვლავი რალფ ედსტრიომი ყოველნაირად ეცადა, მისთვის თამაში გაეადვილებინა, ნილსონი კლუბში დიდხანს არ დარჩენილა. როგორც კი ფეხბურთელი მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა, მაშინვე ეწვია წარმატება — დაიწყო გოლების გატანა.

ახალგაზრდა, ნიჭიერი მწვრთნელის სვენ-გიორან ერიქსონის ხელმძღვანელობით 1979 წელს „გიოტებორგი" აღმასვლას იწყებს. უეფა-ს თასის 1981-82 წლების გათამაშებაში გუნდმა დიდი წარმატება იზეიმა. ფინალში შვედებმა ორჯერ, შინ (1:0) და სტუმრად (3:0) დაამარცხეს დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი, გათამაშების ფავორიტი „ჰამბურგი" და უეფა-ს თასი დაისაკუთრეს.

ტრიუმფის შემდეგ სარფიანი კონტრაქტებით მოხიბლული მწვრთნელი ერიქსონი და კლუბის ბევრი ფეხბურთელი საზღვარგარეთ გაემგზავრა. 1982-84 წლები ტორბიორნ ნილსონმა გფრ-ის „კაიზერსლაუტერნში" გაატარა. თუმცა აქ ისე ვერ ითამაშა, როგორც კლუბი მოელოდა.

ნილსონი ყოველთვის იყო ე. წ. „კლუბის მოთამაშე". მას არასდროს მიუღწევია დიდი წარმატებისთვის ეროვნულ ნაკრებში თამაშის დროს. მეტიც, რამდენიმე წლის განმავლობაში საერთოდ არ მიუწვევიათ ნაკრებში. მაგრამ მას შემდეგ, რაც შვეციამ ზედიზედ წააგო 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი ორი მატჩი, პრესისა და გულშემატკივრების დაჟინებული მოთხოვნით, ნილსონი ნაკრებში დააბრუნეს. ტორბიორნმაც მისებურად მოჰკიდა საქმეს ხელი და შვედებმა ზედიზედ დაამარცხეს პორტუგალიისა (3:1) და ჩეხოსლოვაკიის გუნდები (2:0), დასავლეთ გერმანიის ნაკრებთან კი შეხვედრა ფრედ დაამთავრეს (2:2).

საწყენი იყო, რომ შვედების მარცხმა სტუმრად პრაღაში (1:2) და პორტუგალიელთა გამარჯვებამ ასევე სტუმრად გფრ-ში (1:0), გააქარწყლეს ტორბიორნ ნილსონის ოცნება — თავისი საფეხბურთო კარიერა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამოსვლით დაეგვირგვინებინა. საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ იგი აპირებს საკუთარი შესაძლებლობები მოსინჯოს ბიზნესში. გარდა ამისა, ნილსონს მეორე დიდი გატაცება აქვს. მას უყვარს ცხენოსნობა — დოღი.

ინგლისურიდან თარგმნა
**მირიან ბარდაველიძემ.**

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" მორიგი, XXX ტირაჟებისა, რომელიც 26 ივლისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 677 598 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (19 ბარათი) მოგება 2779 მანეთია, ოთხისთვის (1488) — 40, სამისთვის (30 315) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან** გაიყიდა 6 388 943 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (143 ბარათი) მოგება 2721 მანეთია, ოთხისთვის (11 669) — 51, სამისთვის (233 112) — 4.

# პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი

**უფრო** დიდი და საპატიო შეჯიბრება პროფესიონალ ველოსიპედისტებს არცა აქვთ. „ტურ დე ფრანსი" მრავალდღიან საგზატკეცილო ველორბოლაში მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად ითვლება და მასში გამარჯვებაზე მსოფლიოს ყველა უძლიერესი ველოსიპედისტი ოცნებობს.

წლევანდელი 74-ე შეჯიბრება 27 წლის ირლანდიელმა სტეფან როჩმა მოიგო. 3912 კილომეტრი, რომელიც 25 ეტაპად იყო დაყოფილი, მან 115 საათსა, 2 წუთსა და 42 წამში დაფარა. ძნელი გამოცდა ელოდათ ველოსიპედისტებს ბოლო 25-ე ეტაპზე. იგი მძაფრი ფინიშით ამერიკელმა ჯეფ პირსმა მოიგო. გამარჯვებულმა კანადელ სტივ ბაუერს მხოლოდ ერთი წამით აჯობა.

როჩი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ირლანდიელია, რომელიც „ტურ დე ფრანსის" ჩემპიონის სახელს ატარებს, მაგრამ მისი წარმატება მოულოდნელი არ ყოფილა. მეტსაც გეტყვით, ირლანდიელი მეორე არანაკლებ პოპულარულ რბოლაში „ჯირო დ' იტალიაში" გამარჯვების შემდეგ ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა და გაამართლა კიდეც ნდობა. ასეთი ორმაგი გამარჯვება პროფესიული ველოსპორტის ისტორიაში მხოლოდ ხუთ სპორტსმენს აქვს მოპოვებული, მათ შორის ფრანგ ინო ბერნარსა და ბელგიელ ედი მერქსს.

საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე გამოსული ესპანელი პედრო დელგადოც 27 წლისაა. გამარჯვებულს იგი მხოლოდ 40 წამით ჩამორჩა. ასეთი მინიმალური სხვაობა გამარჯვებულსა და მეორე პრიზიორს შორის მხოლოდ 19 წლის წინ იქნა დაფიქსირებული. მესამე ადგილი ფრანგმა ჟან-ფრანსუა ბერნარმა დაიკავა.

## ტელეტაიპი - მკითხველს

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** **1 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**, რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2)**; ჩემპიონები რჩევას აძლევენ დამწყებ სპორტსმენებს — **9.55 (1)**;

**საქართველოს რადიო.** **1 აგვისტო.** ფეხბურთი. სსრ კავშირის პირველობა. პირველი ლიგა — **21.30.**

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07045